20 IULIE
RUGĂCIUNEA
SF.PROROC ILIE TESVITEANUL

საველრებელი ლოცვა

ჵ, ყოვლად ქებულო და ნიშ-სასწაულებითა გაბრწყინვებულო წინაადსწარმეტყველო ელია თეზბიტელო! სამებისა წმიდისა მიერ გამორჩეულო და კაცობრივითა ჴორცითა ზეცად აღტაცებულო, ანგელოზთაგან ქებულო, მოსაგრეთაგან თაყუანისცემულო, ქრისტეანეთა მიერ სასოებითა სანატრელო და ყოველთა უპოვართა, განწირულთა და შენდამი მოლტოლჳლთა შესავედრებელო ზღუდეო და მტკიცეო საფარველო.

ჵ, წინაადსწარმეტყუელო და მეორე წინა-მორბედო ქრისტეს ქუეყანასა ზედა მეორედ მოსვლისაო ელია! უხრწნელად დაგბადა შენ ღმერთმან, რაადთა არ იგემო სიკუდილი, ვიდრე იერუსალჷმით არა იქადაგებ დასასრულისათჳს ქუეყანისა, და ენუქისა თანა მოაქცევ შეცთომილთა და სირცხჳლეულ ჰყოფ ანტესა შედგომილთა, ვიდრემდე არა მოიკლნეთ მის მიერ, ხოლო შემდგომად სამისა დღისა სული ღმრთისაა ცხოველი შემოვა თქუენ თანა და მოწოდებითა აღხუალთ ღრუბლითა ზეცად, ვითარცა წინაადსწარმეტყუელა წმიდამან მოციქულმან იოანე ღმრთისმეტყუელმან, ხოლო რომელი არა მოიქცეს, დაეცეს უშჯულოებისა დაცემითა, ამისთჳს გევედრებით: შეუძრველად დაიცევ ქრისტჷს წმიდაა ეკლესიაა კუეთებისაგან მტერთაასა და მძლე ჰყუენ მწვალებელთა ზედა, ხოლო ჩუენ ყოველთაგან ტომთა, ბრძოლად ჩუენდა შემოკრებულთა გჳჴსენ და დაგჳფარენ ანტიქრისტეს ხიბლისა და საცთურისაგან. განაძლიერე დიდი მეუფე ჩუენი, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, მამაა ჩუენი

ილია, ყოვლად-სამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, და ყოველნი სამღდელონი და სამონაზვნო წესნი; მოგუმადლე ქრისტესმოყვარე მთავრობაჲ და მჴედრობაჲ მისი; დაიცვენ მემუშაკენი ერისა და წმიდისა ეკლესიისა ჩუენისანი და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი.

Ჶ, ყოვლად-პატიოსანო წინაჲსწარმეტყუელო ელია თეზბიტელო, ყოვლადწმიდისა სამებისა სათნოო და ანგელოზთა მობაძავო და თანამოსაგრეო, რომელმან ცანი შეჰკრენ და ცუართა აღჳრ-ასხენ: ჰაერთა უბრძანე და ცეცხლსა ზეგარდამო მოუწოდე. და მოსწყჳდენ რაჲ ქურუმნი, დააცხრვე რისხუაჲ ღმრთისაჲ, და უბრძანე ღრუბელთა, რაჲთა გარდამოიღონ წჳმაჲ ქუეყანასა ზედა, აწ გარდამოიხილე მოწყალითა თუალითა ერსა ჩუენსა ზედა და ევედრე ყოვლად სახიერსა ღმერთსა, რაჲთა არა განგვირისხდეს ჩუენ უსჯულოებათაებრ ჩუენთა, არამედ განგვათავისუფლოს ცოდვათაგან და განგვაშორნოს სიყმილი ჴორცთაჲ და წარწყმედაჲ სულთაჲ, დაგჳფაროს ცეცხლისაგან, მახჳლისა, ზედა დასხმისაგან მტერთასა და ყოვლისაგან წინა-აღმდგომისა, მოგუმადლოს მშჳდობითი და უშფოთველი ცხორებაჲ, კეთილ-შეზავებულობაჲ ჰაერისაჲ და კეთილ ჟამიერი წჳმაჲ ნაყოფთა გამოღებად ზეცით გარდამოუვლინოს ქუეყანასა და კეთილდღეობითა გვაცხოვნოს ყოველნი, რაჲთა წინამძღუანებულნი და დაცულნი ლოცვითა შენითა, მიწევნულ ვიქმნეთ საუკუნესა მას მშჳდობასა და შენთანა ვადიდებდეთ ღმერთსა, სამწმიდაობითა დიდებულსა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.